LEPL Georgian National David Agmashenebeli Defence Academy
Digitally signed by LEPL Georgian National David Agmashenebeli Defence Academy
Date: 2022.06.30 15:26:25 +04'00'

# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №462

30.06.2022წ.

## დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" - იურიდიულ ან ფიზიკურ პირი, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული „დღე", „კვირა", „თვე".

## 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, მის: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3კმ. საიდენტიფიკაციო კოდი: 218083222; სახელმწიფო ხაზინა კოდი:TRESGE22, წარმოდგენილი აკადემიის რექტორის მოადგილე-შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ იმედა გვრიტიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და

მეორე მხრივ შპს „ჰპპ-ფარმა", მისამართი ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ.№148. საიდენტიფიკაციო კოდი: 202203123 , მომსახურე ბანკი: სს „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის №GE26TB0677136020100007; წარმოდგენილი მისი დირექტორის, ვაჟა ოქრიაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი").

## 3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ პირადი ჰიგიენის საშუალებების შესყიდვა დანართის შესაბამისად (**cpv33700000**).

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **547.92** (ხუთას ორმოცდაშვიდი ლარი და 92 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული შესყიდვის ობიექტი ეტაპობრივად ან ერთჯერადად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 კალენდარულ დღეში 2022 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ცხინვალის გზატკ. მე-3 კმ. სადაც სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 6.3 პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება გადადის შემსყიდველზე.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების მე-4 მუხლში მითითებული თანხის ფარგლებში, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება, ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.4 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე აკადემიის მხრიდან კონტროლს განახორციელებს აკადემიის ლაზარეთის უფროსი.

6.3 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის საფასურის შესაბამისი დამადასტურებელი საგადახდო დოკუმენტის (სასაქონლო ზედნადებისა, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) წარმოდგენის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გაფორმებამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაზიანებაზე, დაღუპვასა თუ განადგურებაზე. ამ საბუთების გაფორმების შემდეგ აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

6.4 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

6.6 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე გამოვლენილი ყველა ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.7 შესყიდვის ობიექტი მოწოდებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

## 7. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

7.1 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

## 8. გარანტია

**მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ:**

- შემსყიდველს მიეწოდება ხარისხიანი და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული შესყიდვის ობიექტი.
- შესყიდვის ობიექტის ვარგისიანობის ვადა შეადგენს მიწოდების მომენტიდან არანაკლებ 06 (ექვსი) თვეს.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.

9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს და ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02% ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ისა.

13.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების 5.2 და 9.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის 0.02% ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3% -ისა.

13.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

## 15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა დონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
15.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სახამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 16. კონფიდენციალურობა

16.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც ცნობილი გახდება მათთვის საქმიანი ურთიერთობისას.
16.2 კონფიდენციალურობის დაცვის აღნიშნული მოვალეობა ძალაში რჩება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

## 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

## 18. სხვა პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ ცოცხალი/სველი ხელმოწერით ან/და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

| | |
|---|---|
| აკადემიის რექტორის<br>მოადგილე-შტაბის უფროსი | შპს „პსპ-ფარმა“-ს დირექტორი |
| PSP PHARMA LLC Digitally signed by PSP PHARMA LLC Date: 2022.06.30 16:34:43 +04'00' | |
| პოლკოვნიკი იმედა ბერიტიშვილი | ვაჟა ოქრიაშვილი |
| ---------- | ---------- |
| ხელმოწერა, ბეჭედი | ხელმოწერა, ბეჭედი |

დანართი

| | დასახელება | მწარმოებელი ქვეყანა | რაოდენობა | ერთ. ფასი | ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ZIAJA/ARGAN ხელის კრემი 100მლ | პოლონეთი | 18 | 6.41 | 115.38 |
| 2 | ZIAJA/COCOA ტუჩის ბალზამი | პოლონეთი | 18 | 4.40 | 79.20 |
| 3 | LUX/ბამბის დისკი N100 | თურქეთი | 18 | 2.82 | 50.76 |
| 4 | LIRENE/ მზისგან დამცავი ლოს. SPF50 | პოლონეთი | 18 | 16.81 | 302.58 |
| | | | | სულ | **547.92** |

ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე-შტაბის უფროსი

პოლკოვნიკი [illegible] გვრიტიშვილი

შპს „პსპ-ფარმა"-ს დირექტორი

ვაჟა ოქრიაშვილი

ვადასტურებ, რომ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

| | |
|---|---|
| შესყიდვების სამმართველოს უფროსი | გიორგი ჯაგაშვილი |
| ფინანსების სამმართველოს უფროსი | გიორგი მინდიაშვილი |
| იურიდიული სამმართელოს უფროსი | თამარ საძაგლიშვილი |
| აკადემიის ლაზარეთის უფროსი | თეა ლაბაძე |
| შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი | გიორგი კუთხაშვილი |